ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3605930

ნომერი: AR1547493

თარიღი : 09.10.2017

გაცემის თარიღი : 13.10.2017

გაცნობის თარიღი : 18.10.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კვალი , N 9-11 , გამზირი რუსთაველი , N 29 , ქუჩა თაბუკაშვილი (ძნელაძე/პეტრიწი) N48, ქუჩა მ. მესხი N6 , ქუჩა რ. თაბუკაშვილი (ძნელაძე) N50-52 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კობახიძე პ/ნ 01024035335
- ურბნისის ქ. #7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კვალის ქ. N 9-11, რუსთაველის გამზ. N 29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. N48, მ. მესხი ქ. N6 , რ. თაბუკაშვილი (ძნელაძე) ქ. N50-52-ში არსებული მრავალფუნქციული შენობის ღიობების რეკონსტრუქციის საკითხს. პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 1 დეკემბრის N1670216 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი–მთაწმინდა), კვალის ქ. N9–11, რუსთაველის გამზ. N29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. N48, მ. მესხის ქ.N6, რ. თაბუკაშილის (ძნელაძე) ქ. N50–52–ში, შპს "დაბი გრუპ ჯორჯია"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ვინაიდან წარმოდგენილი სამუშაოებით იცვლება შეთანხმებული პროექტი და ობიექტი არარის ექსპლუატაციაში მიღებული, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ღიობების რეკონსტრუქციის საკითხი განიხილოს, როგორც I კლასის სამუშაო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გამომდინარე, ვინაიდან თქვენს მიერ არასწორად მოხდა ნომენკლატურის შერჩევა, სამსახური მოკლებულია თქვენს მოთხოვნაზე მსჯელობის შესაძლებლობას. დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.